



დამტკიცებულია:

ა (ა)იპ „გარემოზე ზემოქმედების
შეფასების დამოუკიდებელი
კომისიის“ დირექტორის მიერ

გია ყორეულიანი
„19“ იანვარი 2015



სს „RMG Copper“-ის
შპს „RMG Gold“-ის
სამთო მოპოვებით საქარმოებში
გარემოსდაცვითი აუდიტის
ანგარიში



საერთაშორისო კონსულტანტი
გარემოსდაცვითი აუდიტორი
(გარემოსდაცვითი აუდიტორის სახელმწიფო
სერტიფიკატი № 001, უკრაინა)

გიორგი შმატკოვი

საერთაშორისო კონსულტანტი
გარემოსდაცვითი აუდიტორი
(გარემოსდაცვითი აუდიტორის სახელმწიფო
სერტიფიკატი № 108, უკრაინა)

ირინა ნიკოლავა

თბილისი
2015

სარჩევი

შესავალი.....	3
1. ზოგადი დებულებები.....	4
1.1 ზოგადი ტერმინები და განმარტებები.....	4
1.2 მიზნები, ამოცანები, პრინციპები, მეთოდები, გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამა.....	5
1.3 გარემოსდაცვითი აუდიტისთვის მომზადება.....	7
2. ზოგადი ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტებისა და სუბიექტების შესახებ.....	10
2.1 ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „დამკვეთის“ შესახებ.....	10
2.2 ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „ობიექტის“ შესახებ.....	10
2.3 ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „შემსრულებლის“ შესახებ.....	11
ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის ჯგუფების შესახებ.....	12
2.4 ინფორმაცია გარემოსდაცვით აუდიტში საწარმოების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ში“ მხრიდან ჩართული პერსონალის შემადგენლობის.....	14
3. გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები.....	14
4. აუდიტის პროცესში გამოყენებული დოკუმენტაცია.....	16
31. რეგიონის ბუნებრივ გარემოზე საწარმოების სს „RMG COPPER-ისა“ და შპს „RMG GOLD-ის“ უარყოფითი გავლენის ძირითადი მიმართულებები.....	19
5.1 ძირითადი უარყოფითი გარემოსდაცვითი შედეგები საწარმოების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ის“ ზემოქმედების ზონაში.....	20
5.2 საწარმოების საქმიანობის ძირითადი გამოვლენილი შეუსაბამოებები გარემოსდაცვით მოთხოვნებთან.....	20
6. ძირითადი რეკომენდაციები კომპანიების სს „RMG COPPER-ისა“ და შპს „RMG GOLD-ის“ გარემოსდაცვითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.....	31
6.1 კომპანიების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold“-ის გარემოსდაცვითი მართვის სრულყოფა	31
6.2 კარიერები და სანაყაროები.....	32
6.3 გამამდიდრებელი საწარმო.....	33
6.4 გროვული გამოტუტვის სამუშაო მოედანი.....	33
6.5 ატმოსფერული ჰაერის დაცვა.....	33
6.6 წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა.....	34
6.7 ნარჩენების მართვა.....	35
6.8 ნიადაგების რაციონალური გამოყენება და დაცვა.....	36
დასკვნა.....	37

შესავალი

ბოლო წლებში საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოს გარემოსდაცვით პრობლემებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ. ამის გამო იზრდება სამრეწველო საწარმოების მფლობელების პასუხისმგებლობაც, აწარმოონ ბალანსირებული ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკა. ამ გარემოებამ დიდწილად განაპირობა საქართველოს მსხვილი საწარმოების სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, ჩაეტარებინათ აღნიშნული საწარმოების გარემოსდაცვითი აუდიტი ეროვნული და საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით. აქედან გამომდინარე, კომპანიების ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი, მიეღოთ მათი სამრეწველო საქმიანობის რეგიონის გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასება მიღებული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით.

საწარმოების სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტის პროცედურებისთვის საქართველოს აქვს მწირი საკანონმდებლო ბაზა. ეროვნული საკანონმდებლო ნორმების თანახმად, დამტკიცებული აქტების არარსებობისას საქართველოს აქვს უფლება, იხელმძღვანელოს საერთაშორისო კანონებით. ამის გათვალისწინებით, საწარმოების სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტისთვის მოწვეულები იყვნენ სერტიფიცირებული საერთაშორისო გარემოსდაცვითი აუდიტორები უკრაინიდან, როგორც საერთაშორისო კონსულტანტები.

ზოგადად, დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გარემოსდაცვითი აუდიტი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი საწარმოს საქმიანობასა და ეროვნულ/საერთაშორისო გარემოსდაცვით კანონმდებლობებს შორის შეუსაბამობების გამოსავლენად და რეკომენდაციების შემუშავების გზით მათ აღმოსაფხვრელად.

სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის ობიექტების დამოუკიდებელი სისტემური შეფასების ჩატარება საწარმოებს მათი სამეწარმეო საქმიანობისას საშუალებას მისცემს, მიაღწიონ საქართველოსა და ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობების მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებელ დონეს.

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

შპს "RMG Gold"-თან 04.03.2015 გაფორმებული „ხელშეკრულება გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ N 6/1“ და სს "RMG Copper"-თან 04.03.2015 გაფორმებული „ხელშეკრულება გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ N 6/2“ ხელშეკრულებების საფუძველზე გარემოსდაცვითი აუდიტის შემსრულებელია „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია“.

1. ზოგადი დებულებები

1.1 ზოგადი ტერმინები და განმარტებები

გარემოსდაცვითი აუდიტის „შემსრულებელი“ „დამკვეთთან“ დადებულ ხელშეკრულებაში სამუშაოს შესრულებისას იყენებს სამართლებრივ და ორგანიზაციულ პრინციპებს, ტერმინებსა და განმარტებებს, ასახულს უკრაინის კანონში „გამოსდაცვითი აუდიტის შესახებ“.

გარემოსდაცვითი აუდიტი არის გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტის დოკუმენტირებული სისტემური დამოუკიდებელი შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს მტკიცებულების შეგროვებასა და გარკვეულ აქტივობებზე, მოვლენებზე, მდგომარეობებზე, გარემოსდაცვითი მართვის საკითხებზე ინფორმაციის ობიექტურ შეფასებას ეროვნულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და გარემოსდაცვითი აუდიტის სხვა კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასადგენად.

გარემოსდაცვითი აუდიტის აქტივობები მოიცავს, როგორც გარემოსდაცვითი აუდიტის, ასევე მისი ორგანიზაციული, სამართლებრივი, საკონსულტაციო და სხვა სახის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ჩატარებას.

გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტებია:

- საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, მათი ფილიალები და წარმომადგენლობები ან ასოციაციები, სხვა სავაჭრო ობიექტები;
- გარემოსდაცვითი მართვის სისტემები;
- კანონით განსაზღვრული სხვა ობიექტები.

გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმებია გარემოსდაცვითი სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, მეთოდოლოგია, ხელმძღვანელობა, ორგანიზაციული მოთხოვნები, რის მეშვეობითაც გარემოსდაცვითი აუდიტორი აფასებს გარემოსდაცვითი აუდიტის

მტკიცებულებებს, ატარებს მათ ანალიზს და ამზადებს დასკვნას აუდიტის ობიექტთან დაკავშირებით.

გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმებს შეიძლება ეკუთვნოდეს კანონით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებიც.

გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულება არის დოკუმენტურად დაფიქსირებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტის ქმედებების შესახებ, რომლის გადამოწმებაც შესაძლებელია.

გარემოსდაცვითი აუდიტის დაკვანა არის გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტის პროფესიონალური შეფასება, რომელიც შესრულებულია გარემოსდაცვითი აუდიტორის მიერ. შეფასება ეყრდნობა გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულებებს და არის გარემოსდაცვითი აუდიტის ანგარიშის მთავარი ნაწილი.

1.2 მიზნები, ამოცანები, პრინციპები, მეთოდები, გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამა

გარემოსდაცვითი აუდიტის მიზნები

ამ გარემოსდაცვითი აუდიტის მიზანია საწარმოების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ისთვის" სისტემური დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება, რომელიც დაეყრდნობა საქართველოს მარეგულირებელ და საკანონმდებლო დოკუმენტებსა და საწარმოო ქმედებების გარემოსდაცვით ასპექტებზე შეგროვებულ სანდო ინფორმაციას, რათა დადგინდეს საწარმოების სამრეწველო საქმიანობის დროს გარემოსდაცვით კანონდამებლობასთან შესაბამისობა.

გარემოსდაცვითი აუდიტის რეკომენდაციები მიზნად ისახავს საწარმოების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" სამრეწველო საქმიანობაში გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრას.

გარემოსდაცვითი აუდიტის დასკვნა მიზნად ისახავს კომპანიების მიერ გარემოსდაცვითი მართვის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის პირობების უზრუნველყოფას.

გარემოსდაცვითი აუდიტის ამოცანები

გარემოსდაცვითი აუდიტის ფარგლებში, შემდეგი ამოცანები შესრულდა:

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

- გარემოსდაცვითი ობიექტის საწარმოო საქმიანობის გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ სანდო ინფორმაციის შეგროვება და დასკვნის ფორმირება მასზე დაყრდნობით;

- გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტის შესაბამისობის დადგენა საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან წყლის დაცვის, ჰაერის აუზის, ნარჩენების მართვისა და სხვა სფეროებში;

- გარემოსდაცვითი აუდიტის დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

გარემოსდაცვითი აუდიტის პრინციპები

ძირითადი პრინციპები გარემოსდაცვითი აუდიტის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არის:

- კომპანიის მენეჯმენტის მიერ გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარების მხარდაჭერა;

- გარემოსდაცვითი აუდიტორების ობიექტურობა და კომპეტენტურობა გარემოსდაცვით სფეროსა და აუდიტის ობიექტის სპეციფიკაში;

- აუდიტის ობიექტის გარემოსდაცვითი საქმიანობის კომპლექსური ანალიზი, რომელიც ჩატარდება გარემოსდაცვის სფეროში საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელ აქტებზე დაყრდნობით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

- აუდიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

გარემოსდაცვით აუდიტზე მუშაობა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმების შერჩევა;

- გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულებების განხილვა;

- საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის გარემოსდაცვით საკანონმდებლო მოთხოვნებთან და გარემოსდაცვითი აუდიტის სხვა კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა;

- გარემოსდაცვითი აუდიტის ანგარიშის ფორმირება;

- გარემოსდაცვითი აუდიტის დასკვნების ფორმირება.

გარემოსდაცვითი აუდიტის მეთოდები

სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება გარემოსდაცვითი აუდიტის ჩასატარებლად, მათ შორის, მნიშვნელოვანია: აუდიტორების/ექსპერტების გუნდის მიერ საწარმოს

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

გამოკვლევა: კითხვარები, ინტერვიუები საწარმოს თანამშრომლებთან; დოკუმენტების შესწავლა, ანგარიშგება და სხვა.

გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამა

გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამა ეყრდნობა „დამკვეთის“ ტექნიკური დავალების მოთხოვნებს.

ტექნიკური დავალების შესაბამისად, აუდიტის გუნდმა განიხილა გარემოსდაცვითი ობიექტების (საწარმოები სს “RMG Copper” და შპს “RMG Gold”) საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ფარგლებში, მათ შორის, საქმიანობის ნებართვები, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა და სხვა.

შესაბამისად კვალიფიცირებულმა გარემოსდაცვითმა აუდიტორებმა და ტექნიკურმა ექსპერტებმა განახორციელეს სამუშაო.

გარემოსდაცვითი აუდიტის დასკვნები ეყრდნობა საწარმოების სს “RMG Copper-ისა” და შპს “RMG Gold-ის” მიერ უზრუნველყოფილ ინფორმაციასა და აუდიტორების მიერ ამ საწარმოებში ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანალიზს.

იმ შემთხვევაში თუ საწარმოების მიერ მოწოდებული აუდიტის სუბიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია არასწორია და გავლენას ახდენს გარემოსდაცვითი აუდიტის დასკვნებზე, აუდიტის შემსრულებელი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია“ პასუხს არ აგებს იმ დასკვნაზე, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის ამ ნაწილთან.

ეს ანგარიში მომზადებულია გარემოსდაცვითი აუდიტისა და კონსალტინგის სტანდარტების და მისი მომზადების დროს გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

1.3 გარემოსდაცვითი აუდიტისთვის მომზადება

გარემოსდაცვითი აუდიტის შესასრულებლად მომზადების პროცესში ობიექტებს სს “RMG Copper-სა” და შპს “RMG Gold-ს” 2015 წლის იანვარში გაეგზავნათ კითხვარები მიზნების, ამოცანების, საჭირო სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების განსასაზღვრავად. კითხვარები შეივსო გარემოსდაცვითი აუდიტის ყველა ობიექტისათვის.

კითხვარების მონაცემების საშუალებით შესაძლებელი გახდა სამუშაოების პოტენციური მოცულობის განსაზღვრა, გარემოსდაცვითი აუდიტის მიზნებისა და ამოცანების დაკონკრეტება, ასევე წინააღმდეგობების განსაზღვრა, რათა აუდიტის პროცესში მომხდარიყო მათზე კონცენტრირება. გარდა ამისა, კითხვარების

დახმარებით მოხერხდა დასკვნის გაკეთება საწარმოებში სს "RMG Copper-სა" და შპს "RMG Gold-ში" გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარების შესაძლებლობის შესახებ.

შემდეგი საფეხურის დროს:

- ჩამოყალიბდა გარემოსდაცვითი აუდიტორებისა და ტექნიკური ექსპერტების ჯგუფი (ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 2.4);
- დაინიშნა გარემოსდაცვითი აუდიტორებისა და ტექნიკური ექსპერტების გუნდის ლიდერი (ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 2.4);
- აუდიტორების ჯგუფისთვის შემუშავდა სამუშაო ამოცანები და საჭირო დოკუმენტები (კითხვარები).

მოთხოვნილი დოკუმენტები მიღებულია და დასრულებულია წინასწარი ანალიზი მათი გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

გარემოსდაცვითი აუდიტის გუნდის საკოორდინაციო შეხვედრა შედგა 2015 წლის 19 მარტს.

თბილისში 2015 წლის 20 მარტს ჩატარდა მომავალი აუდიტის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ „დამკვეთის“, „შემსრულებლის“, საერთაშორისო კონსულტანტების, საზოგადოებისა და მას მედიის წარმომადგენლები.

თბილისში 2015 წლის 21 მარტს შედგა გარემოსდაცვითი აუდიტის გუნდის საწყისი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ „დამკვეთისა“ და „შემსრულებლის“ წარმომადგენლები, სადაც განიხილეს აუდიტის მიზნები, ამოცანები, კრიტერიუმები, მოცულობა, მეთოდები, ასევე, ინფორმაციის გაცვლის გზები აუდიტორების ჯგუფსა და კომპანიებს შორის.

დამატებით, აუდიტის ობიექტების წარმომადგენლებმა მიიღეს კითხვარები და ინსტრუქციები შესავსებად. ამავდროულად, შეხვედრაზე ყველა პასუხისმგებელი პირი იყო გაფრთხილებული მათი პერსონალური პასუხისმგებლობების შესახებ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულესთან მიმართებით.

შეთანხმება მიღწეული იქნა სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" გარემოსდაცვითი აუდიტის პროცესში თანამშრომლობასა და კონფიდენციალური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულია გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტებზე ვიზიტების განრიგი. ცხრილი 1.1 - სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" ობიექტებზე ვიზიტების განრიგი

#	აუდიტის ობიექტი	თარიღი
---	-----------------	--------

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

1.	სს „RMG Copper“	20-21 მარტი, 2015
2.	შპს „RMG Gold“	20-21 მარტი, 2015
3.	სს „RMG Copper“	26-27-28 მარტი, 2015
4.	შპს „RMG Gold“	26-27-28 მარტი, 2015
5.	სს „RMG Copper“	6-7 აპრილი, 2015
6.	შპს „RMG Gold“	6-7 აპრილი, 2015
7.	სს „RMG Copper“	16-17 აპრილი, 2015
8.	შპს „RMG Gold“	16-17 აპრილი, 2015
9.	სს „RMG Copper“	23-24 აპრილი, 2015
10.	შპს „RMG Gold“	23-24 აპრილი, 2015
11.	სს „RMG Copper“	13-14-15 მაისი, 2015
12.	შპს „RMG Gold“	13-14-15 მაისი, 2015
13.	სს „RMG Copper“	27-28-29 მაისი, 2015
14.	შპს „RMG Gold“	27-28-29 მაისი, 2015
15.	სს „RMG Copper“	18-19 ივნისი, 2015
16.	შპს „RMG Gold“	18-19 ივნისი, 2015
17.	სს „RMG Copper“ ¹	15-16-17 ივლისი, 2015
18.	შპს „RMG Gold“	15-16-17 ივლისი, 2015
19.	სს „RMG Copper“	29-30 ივლისი, 2015
20.	შპს „RMG Gold“	29-30 ივლისი, 2015

საწარმოების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ის“ გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულებების გადახედვისას, საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაცია. ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა ტელეფონის მეშვეობით. მოთხოვნილი ინფორმაცია უზრუნველყოფილი იქნა.

თბილისში 2015 წლის 10 სექტემბერს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის შედგა გარემოსდაცვითი აუდიტის შედეგების პრეზენტაცია. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო აუდიტის გუნდის დასკვნები და რეკომენდაციები.

2. ზოგადი ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის ობიექტებისა და სუბიექტების შესახებ

2.1 ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „დამკვეთის“ შესახებ

გარემოსდაცვითი აუდიტის „დამკვეთი არის“ სს “RMG Copper-ი” და შპს “RMG Gold-ი”. ეს ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.2.

ცხრილი 1.2 - ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „დამკვეთის“ შესახებ

საწარმოს დასახელება	სს “RMG Copper-ი” და შპს “RMG Gold-ი”
იურიდიული მისამართი	ბოლნისის რაიონი/მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/9
ტელეფონი/ფაქსი	+995 032 247 45 45
ელექტრონული ფოსტა	info@richmetalsgroup.com
საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობა	დავით ბალანჩივაძე

2.2 ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „ობიექტის“ შესახებ

გარემოსდაცვითი აუდიტის „ობიექტი“ არის სს “RMG Copper-ი” და შპს “RMG Gold-ი”. ეს ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.3.

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

ცხრილი 1.3 - ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „ობიექტზე“

საწარმოს დასახელება	სს "RMG Copper-ი" და შპს "RMG Gold-ი"
იურიდიული მისამართი	ბოლნისის რაიონი/მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/9
ტელეფონი/ფაქსი	+995 032 247 45 45
ელექტრონული ფოსტა	info@richmetalsgroup.com
საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობა	დავით ბალანჩივაძე

2.3 ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „შემსრულებლის“ შესახებ

საწარმოების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" გარემოსდაცვითი აუდიტის „შემსრულებელი“ არის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია“. ეს ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.4.

ცხრილი 1.4 - ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის „შემსრულებლის შესახებ“

ორგანიზაციის დასახელება	გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ქავთარაძის ქ. 17, ბ. 34
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 6ა, ბ. 7
ტელეფონი/ფაქსი	+995 032 230 62 21

ელექტრონული ფოსტა	Eia.commission@yahoo.com
ორგანიზაციის ხელმძღვანელობა	გია ჟორჟოლიანი

ინფორმაცია გარემოსდაცვითი აუდიტის ჯგუფების შესახებ

გარემოსდაცვითი აუდიტის ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა მოცემულია ცხრილში 1.5.

ცხრილი 1.5 - გარემოსდაცვითი აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა.

#	სრული სახელი, პოზიცია	განათლება, პროფესიული გამოცდილება	ტელეფონი, ელ-ფოსტა
ეროვნული ექსპერტების ჯგუფი			
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			

8.	
9.	
10.	
11.	
12.	
საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფი	
1.	
2.	

2.4 ინფორმაცია გარემოსდაცვით აუდიტში საწარმოების სს "RMG Copper-ისა" და შპს „RMG Gold-ში“ მხრიდან ჩართული პერსონალის შემადგენლობის

გარემოსდაცვით აუდიტში საწარმოების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ის“ მხრიდან ჩართული პერსონალის შემადგენლობა მოცემულია ცხრილში 1.6.

ცხრილი 1.6 - სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ის“ პერსონალის შემადგენლობა.

№	სახელი, გვარი	მოვალეობა,	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული-ფოსტა)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			

3. გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები

გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმებია საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომელიც არეგულირებს საწარმოს ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას. ძირითადი აქტები მოცემულია ქვემოთ:

1. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
2. საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“
3. საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

4. საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“
6. საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“
7. საქართველოს ტყის კოდექსი
8. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“
9. საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“
10. საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“
11. საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“
12. საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“
13. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“
14. საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“
15. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის N184 დადგენილება „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“
16. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“
17. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის N705 ბრძანება „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდის შესახებ“
18. კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“

4. აუდიტის პროცესში გამოყენებული დოკუმენტაცია

1. შეთანხმება „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში“, 2012 წლის 15 მაისი;
2. ბუნებრივი რესურსების სააგენტო, 21.05.2012, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია“, N 1000577;
3. ლიცენზია წიაღით სარგებლობაზე სერია 53 ნომერი 0010 ლიცენზიის ტიპი VI A B C, 1994 წ. 7 აპრილი;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის განკარგულება N 593 „შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;
5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის განკარგულება N 2597 „შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“;
6. ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 25 თებერვლის ბრძანება N 13/136 „შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-ზე (ს/კ 404415824) 21.05.2012 წ. გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1000577 ლიცენზიის ნაწილის შპს „Mining Investments Copper“-ზე (ს/კ 404977753) საკუთრებაში გადაცემის შესახებ“;
7. ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 25 თებერვლის ბრძანება N 13/137 „შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-ზე (ს/კ 404415824) 21.05.2012 წ. გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1000577 ლიცენზიის ნაწილის შპს „Mining Investments Gold“-ზე (ს/კ 404977682) საკუთრებაში გადაცემის შესახებ“;
8. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება N 243 „შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის N 13/28 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
9. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება N 244 „შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-ზე (ს/კ 404415824) 21.05.2012 წ. გაცემული

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1000577 ლიცენზიის ნაწილის შპს „Mining Investments Gold“-ზე (ს/კ 404977682) საკუთარებაში გადაცემის შესახებ“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 25 თებერვლის N 13/137 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
10. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება N 245 „შპს “RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 N0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გახანგრძლივებაზე“;
 11. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება N 167/ს „შპს “Mining Investments Gold“-ზე 2014 წლის 11 აპრილს გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების NI001539 ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ“
 12. გარემოს ეროვნული სააგენტო, 2014 წლის 25 ნოემბერი, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია“, N 1002122;
 13. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება N 168/ს „შპს “Mining Investments Copper“-ზე 2013 წლის 25 თებერვალს გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001030 ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
 14. გარემოს ეროვნული სააგენტო, 2014 წლის 25 ნოემბერი, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია“, N 1002121;
 15. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა N 000125;
 16. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა N 000126;
 17. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა N 000181;
 18. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა N 000182;
 19. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა N 000189;
 20. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “RMG Gold”, წესდება, დამტკიცებული პარტნიორთა 2014 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით;

21. Joint Stock Company "RMG Copper", Charter, approved by the resolution of the shareholder, dated January 22, 2014;
22. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "RMG Gold", წესდება, დამტკიცებული პარტნიორთა 2015 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით;
23. სააქციო საზოგადოება "RMG Gold", წესდება, დამტკიცებული პარტნიორთა 2015 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით;
24. RMG კომპანიათა ჯგუფის RMG Copper, RMG Gold გარემოს დაცვის ინდიკატური სამოქმედო გეგმა;
25. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, აქტი, 16.10.2013;
26. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, აქტი, 17.10.2013;
27. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, აქტი N1, 26.11.2013;
28. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, აქტი N2, 27.11.2013;
29. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, აქტი N3, 28.11.2013;
30. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, აქტი N4, 29.11.2013;

31. რეგიონის ბუნებრივ გარემოზე საწარმოების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ის“ უარყოფითი გავლენის ძირითადი მიმართულებები

საწარმოების სს „RMG Copper-ისა“ და შპს „RMG Gold-ის“ გარემოსდაცვითი აუდიტის შედეგების მიხედვით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ როგორც ამ კომპანიების, ასევე ყველა სხვა სამთო-მოპოვებითი საწარმოს, რეგიონის ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი გავლენის ძირითადი მიმართულებებია:

- ბუნებრივი რესურსების არასაკმარისად სრული გამოყენება;
- მიწისა და ნიადაგის საფარის შეუქცევადი დარღვევა;
- ატმოსფერულ ჰაერში სხვადასხვა დამაბინძურებელი ნივთიერების გამოყოფა;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება;
- დიდი რაოდენობის სამრეწველო ნარჩენი (გადახსნილი ქანები, გამამდიდრებელი კუდები და სხვ.)

ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოების საქმიანობის ყველა უარყოფითი ზემოქმედება გართულებულია ექსპერტული შეფასებისთვის, რადგან არ არსებობს კომპანიების (მაგნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ჩაშვების ხარისხობრივი და რაოდენობერივი მონიტორინგისაწარმოო საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა ონ-ლაინ რეჟიმში). ასევე საწარმოების ზემოქმედების ზონაში არ არსებობს გარემოს პარამეტრების გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა.

5.1 ძირითადი უარყოფითი გარემოსდაცვითი შედეგები საწარმოების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" ზემოქმედების ზონაში

ზემოთ მოყვანილი საწარმოების უარყოფითი ზემოქმედების შედეგად, რეგიონში წარმოიშვა მთელი რიგი უარყოფითი გარემოსდაცვითი შედეგები, რომლებსაც აქვთ გაუარესების ტენდენცია:

- ბუნებრივი რელიეფის დარღვევა, კარიერის, სანაყაროების, კულსაცავებისა და სხვა საწარმოო კომპლექსების ფორმირების შედეგად მიწის დაკარგვა;
- კარიერებთან და სატრანსპორტი მაგისტრალებთან, სადაც ხდება ფუჭი ქანებისა და მადნის ტრანსპორტირება, არსებული ნიადაგის დაბინძურება მძიმე მეტალებით. ეს ქმნის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების დაბინძურების საფრთხესაც;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მტვრით, ციანიდის ნატრიუმის აეროზოლებით და დიდტონაჟიანი ტექნიკიდან სხვა მავნე აირადი ნივთიერებების გაფრქვევებით;
- ბოლო 50 წლის (ოქროსა და სპილენძის საბადოების განვითარების პერიოდი) განმავლობაში სპეციალისტების მიერ აღნიშნულია უარყოფითი ცვლილებები, როგორც ტყის ბიოგეოცენოზში, ასევე მდინარეების ჰიდრობიოცენოზში (სახეობრივი მრავალფეროვნებისა და თვითაღდგენის შესაძლებლობის შემცირება).

5.2 საწარმოების საქმიანობის ძირითადი გამოვლენილი შეუსაბამოებები გარემოსდაცვით მოთხოვნებთან

5.2.1 კარიერები და სანაყაროები

- 1) კვლევის დროს გამოვლინდა, რომ პარამეტრების რაოდენობა და დამცავი ღონისძიებები სანაყაროების ფორმირებისას არ პასუხობს პროექტის დებულებებს, მაგალითად, დახრილობის სიმაღლე და დონე;
- 2) სანაყაროების სადრენაჟო სისტემები ან არ არის ან არაეფექტურია;
- 3) სანაყაროების ზედაპირის ეროზია იწვევს იმას, რომ სანაყაროებიდან სანიაღვრე წყლები ჩაედინება ხეობებში ან/და გზისპირა არხებში და შემდეგ უახლოეს წყალსაცავებში;

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

- 4) შიდა და დამაკავშირებელ გზებს ხშირად ახასიათებს გადახვევა პროექტიდან;
- 5) გზისპირა გვერდითი თხრილები არ არის ყველა გზის გასწვრივ;
- 6) კარიერებზე მტვრის ჩამხშობები არასაკმარისად ეფექტურია;
- 7) კარიერების განათება არ შეესაბამება პროექტს;
- 8) არ არსებობს მტვრისა და გაზების გამოყოფის მუდმივი ავტომატური კონტროლი, განსაკუთრებით, მასობრივი აფეთქებების დროს.

5.2.2 გამამდიდრებელი საწარმო

- 1) გამამდიდრებელ საწარმოში დაქუცმაცების სამივე სტადია არაა უზრუნველყოფილი ეფექტური საასპირაციო და მტვერდამჭერი გამწმენდი მოწყობილობებით;
- 2) მტვერდამჭერი გამწმენდი სისტემის მუშაობის ეფექტურობა ძალიან დაბალია - სამსხვრევეზე 40 %-დან მთავარ შემნახავ ბუნკერზე 85 %-მდე, რაც არ შეესაბამება პროექტის პარამეტრებს;
- 3) სამსხვრევეები ცუდად არის ჰერმეტიკულად დალუქული. შედეგად, სამუშაო ზონაში გამოიყოფა დიდი რაოდენობით მცირედისპერსიული მტვერი მადნის მსხვრევისას. ხვრელების გავლით კი ეს მტვერი ხვდება ატმოსფერულ ჰაერშიც;
- 4) გამოყოფის წყაროებზე არ არსებობს გამონაბოლქვის მუდმივი ავტომატური კონტროლის სისტემა.

5.2.3 გროვული გამოტუტვის სამუშაო მოედანი

- 1) დასაკვირვებელი ქაბურღილები ნატრიუმის ციანიდით დაბინძურებულ ნარევეზე მიწისქვეშა წყლების კონტროლისთვის არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ პროექტით გათვალისწინებულია;
- 2) ვიზუალური დაკვირვებისას, აღინიშნა და სურათებზე დაფიქსირდა ნატრიუმის ციანიდის ნარევის ავზზე გაჟონვის აშკარა კვალი და ასევე ნატრიუმის ციანიდის ნარევის ავზის გადავსების კვალი; ასევე, ავზი არ არის აღჭურვილი გადავსების კონტროლის ორმაგი სისტემით;

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

- 3) გროვული გამოტუტვის ადგილზე არ არის დამცავი ბარიერები, რომლებიც შეძლებდნენ ნატრიუმის ციანიდის ნარევის აეროზოლების გავრცელების შემცირებას მოედნის ფარგლებს გარეთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი ქარის დროს;
- 4) სამუშაო კონტურის მიღმა დამსხვრეული მადნის ღია ტრანპორტით გადატანისას ძირითად გზებზე ხდება მტვრის გამოყოფა გარემოში და ტრასის პირა გზების დაბინძურება.

5.2.4 ატმოსფერული ჰაერის დაცვა

- 1) დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წყაროების ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული სრულად, არაა შესწავლილი საწარმოებში არსებული ყველა წყარო;
- 2) არ არის გათვალისწინებული ემისიები ყველა სტაციონარული და მობილური წყაროსგან (ბულდოზერები, ექსკავატორები, ავტოტრანსპორტი, ბურღვითი სამუშაოები, აფეთქებითი სამუშაოები), რაც მნიშვნელოვნად, თითქმის, ორჯერ (115,6 ტ/წ 235,58 ტ/წ-ის წინააღმდეგ) ამცირებს ემისიების არსებულ ციფრს;
- 3) დიაგნოსტიკის პოსტზე გამონაბოლქვში ტოქსიკური ნივთიერებების გაზომვა არ ხორციელდება, მრავების მუშაობა არ რეგულირდება;
- 4) გაფრქვევის მოცულობის დათვლა მიმდინარეობს არასწორად და არის არაეფექტური, რადგან საწარმოს ანგარიშის თანახმად, ემისიების მოცულობა შეადგენს 62,1 ტ-ს მაშინ, როცა ზღვრულად დასაშვები ემისიის სტანდარტების მიხედვით უნდა იყოს 115,6 ტ;
- 5) არ არის გათვალისწინებული მავნებელი და ტოქსიკური ნივთიერებების გაფრქვევები შემდუღებელი პოსტებიდან მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული ელექტროდების მოცულობა საკმაოდ მაღალია - დაახლოებით, 1920 კგ/წ;
- 6) არ ტარდება პად-1, პად-2 და პად-3 ფორმების ანგარიშგება;
- 7) „ინსტრუქცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აფეთქების სამუშაოების განხორციელების, ნაყარების განლაგებისა და სხვა სამუშაოების დროს“ არ არის შეთანხმებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების და შრომის, სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემსდაცვითი აუდიტი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან. ეს აუცილებელია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 432 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტი საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ“, 39-ე მუხლი;

- 8) ციან-იონის შემცველობის ანალიზისას აღმოჩნდა, რომ გროვული გამოტუტვის ტერიტორიის მიმდებარედ ატმოსფერულ ჰაერში პერიოდულად ფიქსირდება 0,6 ნაწილი მილიონ ციან-იონზე, რაც 2,5-ჯერ მეტია სამუშაო ზონის დასაშვებ მნიშვნელობაზე (ნორმა - 0,27 ნაწილი მილიონ ციან-იონზე) 2014 წლის იანვრისა და 2015 წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის მდგომარეობით.

5.2.5 წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა

- 1) საწარმოები სს “RMG Copper” და შპს “RMG Gold” ახორციელებენ მინერალური რესურსების მოპოვებასა და გადამუშავებას მდინარე მაშავერას მარჯვენა შენაკადის, მდინარე კაზრეთულას, უშუალო სიახლოვეს. კომპანიების მიერ ამ მდინარეების წყლების ხარისხის კონტროლი არ ჩატარებულა 2006 წლამდე;
- 2) აუცილებელია აღინიშნოს წყლის რესურსების არარაციონალური გამოყენება. გამამდიდრებელ საწარმოში სს “RMG Copper” ტექნიკური და შიდა საჭიროებებისთვის

გამოყენებული წყლის მოცულობის

ისტვის გამოიყენება სასმელი ხარისხის წყალი, ხოლო დაახლოებით ისთვის იყენებენ წყალს მდინარე მაშავერადან. ამავე დროს, გადაჭარბებულია წყლის გამოყენების წლიური დასაშვები ლიმიტიც -

ვიდრე წყლის ფიქტიური გამოყენება, რომელიც წყლის რესურსების ეკონომიურობის სტიმულს არ აძლევს საწარმოს;

- 3) არ ტარდება კად-4, კად-5 და კად-6 ფორმების ანგარიშგება;
- 4) გამამდიდრებელი ნარჩენების კუდსაცავს აქვს სადრენაჟო სისტემა, საიდანაც წყალი ჩაედინება სპეციალურ სალექარში. დალექვის შემდეგ ავზიდან წყალი ისევ უნდა გადაიტუმბოს კუდსაცავში, მაგრამ აუდიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გადატუმბვის სს “RMG Copper”-ის და შპს “RMG Gold”-ის გარემსდაცვითი აუდიტი

სადგური არ მუშაობს და წყალი გზის ქვეშა მილით გადადის პირდაპირ რელიეფში და ნაკადულის მეშვეობით ჩაედინება მდინარე კაზრეთულაში, შემდეგ კი - მდინარე მაშავერაში;

- 5) კუდსაცავიდან ჩამოდენილი წყალი ძლიერ დაბინძურებულია. რიგი მეტალების შემცველობა აღემატება ზდკ-ს (ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია) რამდენჯერმე: თუთია - 1,98-ზე მეტჯერ, ტყვია - 3,2-ჯერ, კადმიუმი - 10-ჯერ, მანგანუმი - 70-ჯერ. შედეგად ძლიერ ბინძურდება მდინარე კაზრეთულა;
- 6) მდინარე კაზრეთულა ყველა ძლიერ დაბინძურებულია კუდსაცავის ქვემოთ, ხიდის რაიონში, სადაც ფიქსირდება: ზდკ-ის მომატება სპილენძისთვის 20-ჯერ, მანგანუმისთვის - 32-ჯერ, თუთიისთვის - 5,35-ჯერ, კადმიუმისთვის - 5-ჯერ. ამავე დროს, მდინარის ზედა ნაწილის წყალი პრაქტიკულად სუფთაა. მხოლოდ მანგანუმისთვის შეინიშნება ზდკ-ს უმნიშვნელო მომატება. მდინარის დინების ქვედა ნაწილში მძიმე მეტალების კონცენტრაცია მცირდება;
- 7) მდინარის დაბინძურებაზე ასევე მოქმედებს დაბინძურებული სანიაღვრე წყლების შენაკადებიც სანაყაროებიდან და დაბინძურებული მტვრის ჩამონარეცხები იმ საავტომობილო გზებიდან, რომლებზეც მიმდინარეობს მადნისა და ფუჭი ქანების ტრანსპორტირება. გზისპირა არხებში მოხვედრის შემდეგ ეს წყლები ჩაედინება მდინარეებში.

5.2.6 ნარჩენების მართვა

ნარჩენების მართვის სფეროში გამოვლენილი შეუსაბამობების ცხრილი

№	გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები	გამოვლენილი შეუსაბამობები	გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულება
ნარჩენების მართვა			
1.	„ნარჩენების მართვის კოდექსი“, მიღებული საქართველოს	დოკუმენტი „საწარმოების სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაცია“ გადაეცათ	„საწარმოების სამრეწველო ნარჩენების

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

№	გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები	გამოვლენილი შეუსაბამობები	გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულება
	პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 6, 29	გარემოსდაცვით აუდიტორებს განხილვისთვის. ეს დოკუმენტი არ იყო დამტკიცებული კომპანიების ხელმძღვანელობის მიერ და არ იყო შეთანხმებული საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან.	ინვენტარიზაცია“ 2015 წლის იანვრიდან
2.	„ნარჩენების მართვის კოდექსი“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 6, 29	დოკუმენტი „საწარმოების სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაცია“ არ შეიცავს საწარმოების სამრეწველო და მუნიციპალური ნარჩენების ყველა სახეს.	„საწარმოების სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაცია“ 2015 წლის იანვრიდან
3.	„ნარჩენების მართვის კოდექსი“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 6, 29	სს „RMG Copper-მა“ და შპს „RMG Gold-მა“ არ დანერგეს აღრიცხვის სისტემა საწარმოების ყველა სახის სამრეწველო და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისთვის, შენახვისა და უტილიზაციისთვის.	დამადასტურებელი დოკუმენტები არაა წარმოდგენილი. საწარმოს პერსონალის გამოკითხვა. საწარმოს ვიზუალური დათვალიერება.
4.	1) „ნარჩენების მართვის	სს „RMG Copper-სა“ და შპს	დამადასტურებელი

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

№	გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები	გამოვლენილი შეუსაბამობები	გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულება
	<p>კოდექსი“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 14</p> <p>2) პროექტის „სპილენძის მადნის მოპოვება და სპილენძის კონცენტრატის წარმოება“ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ექსპერტიზა (დასკვნა № 13, 30.01.2009, პუნქტი 2)</p> <p>3) პროექტის „კვარცის მადნიდან ოქროს მოპოვება გროვული გამოტუტვის მეთოდის გამოყენებით“ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ექსპერტიზა (დასკვნა № 14, პუნქტი 2, 30.01.2009)</p>	<p>“RMG Gold-ს“ არ შეუმუშავებიათ „კომპანიის ნარეხების მართვის გეგმა“.</p>	<p>დოკუმენტები არაა წარმოდგენილი.</p> <p>საწარმოს პერსონალის გამოკითხვა.</p> <p>საწარმოს ვიზუალური დათვალიერება.</p>

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

№	გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები	გამოვლენილი შეუსაბამობები	გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულება
5.	<p>1) „ნარჩენების მართვის კოდექსი“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 9, პუნქტი 3.</p> <p>2) სამშენბლო ნორმები და წესები-106-89</p>	<p>კომპანიამ არ დანერგა ნარჩენების განცალკევებულად შეგროვების, შენახვისა და უტილიზაციის სისტემა მათი საფრთხის კლასისა და სპეციფიკურობის შესაბამისად.</p>	<p>დამადასტურებელი დოკუმენტები არაა წარმოდგენილი.</p> <p>საწარმოს პერსონალის გამოკითხვა.</p> <p>საწარმოს ვიზუალური დათვალიერება.</p>
6.	<p>1) „ნარჩენების მართვის კოდექსი“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 9, პუნქტი 3.</p> <p>2) სამშენბლო ნორმები და წესები--106-89</p> <p>3) "ნაცობპროდუქტების შენახვის უსაფრთხოების წესები"</p>	<p>ნარჩენების შენახვის ადგილი არ არის აღჭურვილი წესების შესაბამისად და მათი სპეციფიკურობის საფუძველზე.</p>	<p>დამადასტურებელი დოკუმენტები არაა წარმოდგენილი.</p> <p>საწარმოს პერსონალის გამოკითხვა.</p> <p>საწარმოს ვიზუალური დათვალიერება.</p>
7.	<p>„ნარჩენების მართვის კოდექსი“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს, მუხლი 12, პუნქტი ლ).</p>	<p>არ მიმდინარეობს კომპანიის სპეციალისტების კვალიფიკაციის დონის ამაღლებაზე მუშაობა.</p> <p>ნარჩენების მართვის სფეროში გათვალისწინებული</p>	<p>დამადასტურებელი დოკუმენტები არაა წარმოდგენილი.</p> <p>საწარმოს პერსონალის გამოკითხვა.</p>

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

№	გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები	გამოვლენილი შეუსაბამობები	გარემოსდაცვითი აუდიტის მტკიცებულება
		აუდიტის 3 წლიანი პერიოდის ფარგლებში.	

5.2.7 ნიადაგის რაციონალური გამოყენება და დაცვა

- 1) ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კომპანიებს სს "RMG Copper"-სა და შპს "RMG Gold"-ს არ ჩაუტარებიათ ნიადაგის მძიმე მეტალებით დაბინძურების კონტროლის სამუშაოები, ამის გამო ნიადაგის დაბინძურების ცვლილებების დინამიკის დადგენა შეუძლებელია;
- 2) აუდიტის ფარგლებში ჩატარდა ნიადაგის ანალიზები ამ საწარმოების ძირითადი ობიექტების სიახლოვეს (კარიერი, სანაყაროები, კუდსაცავი, გროვული გამოტუტვის უბნები). ანალიზების შედეგები აჩვენებს, რომ შერჩეულ ყველა წერტილში შეინიშნება საკმაოდ მაღალი შემადგენლობა ისეთი მძიმე მეტალებისა, როგორებიცაა: სპილენძი, ტყვია, თუთია, ნიკელი, კადმიუმი;
- 3) სასოფლო-სამეურნეო გამოყენების ნიადაგებშიც, თითქმის, ყველა გამოკვლეული მძიმე მეტალის შემადგენლობა მნიშვნელოვნად მაღალია ზღვ-სთან შედარებით - 5-10 და მეტჯერ. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მეტალებს, რომლებიც მოძრავი და წყალში ხსნადია, რადგან ზუსტად მეტალების ეს ფორმები გადადის მცენარეებში მათი ზრდისა და მომწიფების პერიოდში. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც სამთო სამუშაოების ზემოქმედებასთან, ასევე ნიადაგში მძიმე მეტალების მაღალ ფონურ შემცველობასთან.

5.2.8 მცენარეთა სამყაროს დაცვა

- 1) იმ რაიონების ტერიტორიებზე, რომლებიც წარმოადგენს სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის მოქმედ ობიექტებს, პრაქტიკულად განადგურებულია მუხების ტყის (მუხნარი) ბუნებრივი ბიოცენოზი. დაიწყო ბუნებრივი სუქცესიის ნელი პროცესები, რომლებიც შეიძლება გაგრძელდეს ათობით და ასობით წელი მუხების ბუნებრივი ბიოცენოზის აღდგენამდე;

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

- 2) სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის მიერ ტყის აღდგენითი სამუშაოები პრაქტიკულად არ ტარდება. გზშ-ის (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) რეკომენდაციებისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნის მიუხედავად, შპს „კვარციტს“ არ ჩაუტარებია ტყის აღდგენითი სამუშაოები ისეთები, როგორებიცაა: მუხის რკობის დათესვა და იფანის, ნეკერჩხლის, თხილისა და სხვა ჯიშების დარგვა;
- 3) ბუნებრივი ფიტოცენოზის ასეთი დარღვევა გამოიწვევს ტყის ნიადაგის მომატებული ქარისა და წყლისგან გამწვეულ ეროზიას, ასევე ამ ტყეების ზოოცენოზის სტრუქტურის ცვლილებას.

5.2.9 წყლის ეკოსისტემების დაცვა

- 1) კომპანიების სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის საქმიანობის დაგეგმვის (დაპროექტების) საწყის ეტაპებზე არ იყო სათანადო ყურადღება დათმობილი სამომავლო საქმიანობის გამო წყლის ეკოსისტემებზე ზეგავლენისადმი;
- 2) გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და საქმიანობის სისტემა არ მოიცავს ზომებს წყლის ეკოსისტემების სტრუქტურასა და ფუნქციურ მდგომარეობაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შესამცირებლად;
- 3) მდინარეების კაზრეთულასა და მაშავერას აუზებში სამთო-მოპოვებითი წარმოების ზემოქმედებამ გამოიწვია, პრაქტიკულად, შეუქცევადი ცვლილებები მათ ჰიდრობიოცენოზებში. ფსკერზე მცხოვრები ორგანიზმების (ზოობენტოსი) 24 სახეობა, რომლებიც აღმოჩენილი იყო სუფთა ზონებში, ვერ იქნა ნაპოვნი მდინარეების იმ მონაკვეთებში, რომლებიც იყო ჩამდინარე წყლების ზემოქმედების ქვეშ.
ბენტოსური სახეობების უმრავლესობა (მთავარი საკვები ზაზა თევზებისთვის) მდინარეების დაბინძურებულ ზონებში შემცირდა 8-ჯერ, 10-ჯერ ან უფრო მეტჯერ.
განსაკუთრებით ღრმა უარყოფითი ცვლილებები შეინიშნება მდინარე კაზრეთულას ბიოცენოზში, სადაც ბენტოსის ბიომასა შემცირდა 100-ჯერ სუფთა ზონებთან შედარებით;

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

4) უნდა აღინიშნოს, რომ სამთო-მოპოვებითი საწარმოების მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, მდინარე კაზრეთულამ, ფაქტობრივად, დაკარგა თავისი იხტიოფაუნა, ხოლო მდინარე მაშავერამ დაკარგა იხტიოფაუნის მთელი რიგი ღირებული სახეობები;

აქედან გამომდინარე, საწარმოების სს "RMG Copper"-ისა და შპს "RMG Gold"-ის საქმიანობის ზემოქმედების შედეგად, მდინარეების კაზრეთულასა და მაშავერას ჰიდრობიოცენოზებში ხდება შეუქცევადი უარყოფითი ცვლილებები.

6. ძირითადი რეკომენდაციები კომპანიების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" გარემოსდაცვითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად

აღნიშნული თავი შეიცავს გარემოსდაცვითი აუდიტის ექსპერტების ჯგუფის ძირითად რეკომენდაციებს, რომლებიც წარმოდგენილია კომპანიების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold-ის" გარემოსდაცვითი საქმიანობის სამომავლოდ სრულყოფის მიზნით, რაც თავის მხრივ, მისცემს საშუალებას, მიაღწიონ ბალანსირებულ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საქმიანობას და მიიყვანს რეგიონს მტკიცე განვითარებამდე ამ საწარმოების სამთო-მოპოვებითი საქმიანობის ზემოქმედების ზონაში.

6.1 კომპანიების სს "RMG Copper-ისა" და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი მართვის სრულყოფა

1) შემუშავდეს გარემოსდაცვითი პოლიტიკა და შეთანხმდეს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან და გარემოსა და ზუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

2) მოხდეს კომპანიის გარემოსდაცვითი მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაცია:

- გარემოსდაცვით საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილის (ან დირექტორის) პოსტის შემოღება, რომელიც იქნება კომპანიის გენერალური დირექტორის პირდაპირ დაქვემდებარებაში;

- მოხდეს გარემოს დაცვისა და მონიტორინგის მართვის უფროსის კომპეტენციის გაფართოება ისე, რომ ის აკონტროლებდეს ყველა საწარმოსა და კომპანიის გარემოსდაცვით ინფრასტრუქტურულ დეპარტამენტებს;

- გარემოსდაცვის მართვაში შეიქმნას სპეციალური განყოფილებები კომპანიის ყველა გარემოსდაცვითი ასპექტის მიმართულებით;

- შეიქმნას სპეციალური გარემოსდაცვითი ანალიტიკური ლაბორატორია;.

3) ორივე კომპანია მომზადდეს საერთაშორისო სისტემით სერტიფიცირებისთვის - ISO-9000-ისთვის - პროდუქციის ხარისხის

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

მართვის სისტემა, ISO-14000-ისთვის - ეკოლოგიური მართვის სისტემა, OHSAS-18000-ისთვის - შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მართვა;

- 4) შემუშავდეს და დამტკიცდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის კომპლექსური ავტომატური სისტემა, რომელიც მოიცავს საწარმოების ყველა იმ წყაროს, რომელიც ზემოქმედებს გარემოზე და გარემოს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც მოხვედრილია საწარმოს ზემოქმედების ზონაში. სისტემის მთავარი ფუნქცია უნდა გახდეს გადაწყვეტილებების მომზადება საწარმოების ხელმძღვანელობისთვის და მათი შესრულების გაკონტროლება.

6.2 კარიერები და სანაყაროები

- 1) შეიქმნას ან რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს სანაყაროების სადრენაჟო სისტემებს;
- 2) აშენდეს ბეტონის უჯრები სანიაღვრე წყლების შესაგროვებლად სანაყაროებზე და იმ ძირითადი გზების გასწვრივ, რომლებზეც ხდება მადნისა და ფუჭი ქანების ტრანსპორტირება;
- 3) აშენდეს სპეციალური დიდი აუზი ჰიდროიზოლაციით ბოლოებზე და გვერდებზე ყველა სანიაღვრე და სადრენაჟო წყლის დასაცავად, რომლებიც შეგროვდება ბეტონის უჯრებით;
- 4) გაუმჯობესდეს მტვრის საკონტროლო სისტემა კარიერებზე, განსაკუთრებით, მასობრივი აფეთქებისას, და ასევე წლის მშრალ პერიოდებში იმ ძირითად გზებზე, რომლებზეც ხდება მადნისა და ფუჭი ქანების ტრანსპორტირება;.
- 5) მოხდეს კარიერისა და მისასვლელი გზების განათება პროექტის შესაბამისად;.
- 6) შემუშავდეს და შეიქმნას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ავტომატური კონტროლის მუდმივად მოქმედი სისტემა კარიერის ზემოქმედების ზონაში და ასევე, აფეთქების დროს.

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

6.3 გამამდიდრებელი საწარმო

- 1) ჩატარდეს ყველა სამსხვრევი დანადგარის კაპიტალური რემონტი იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მათი ჰერმეტიზაცია და შემცირდეს მტვრის გამოყოფა სამრეწველო შენობაში;
- 2) დაპროექტდეს და განხორციელდეს უფრო ეფექტური ორეტაპიანი (ციკლონი - ფილტრი) მტვერდამჭერი სისტემა ყველა სამსხვრევე აგრეგატზე;
- 3) შემუშავდეს პროექტი და შეიქმნას გაფრქვევების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ავტომატური კონტროლის სისტემა ემისიის ყველა წყაროზე.

6.4 გროვული გამოტუტვის სამუშაო მოედანი

- 1) მოეწყოს მიწისქვეშა წყლების ნატრიუმის ციანიდით დაბინძურების საკონტროლო სადამკვირვებლო ჭაბურღილები;
- 2) ჩატარდეს პროფილაქტიკური რემონტი ნატრიუმის ციანიდის ნარევის მოსამზადებელ ავზს იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გაჟონვა;
- 3) მოეწყოს ნატრიუმის ციანიდის ნარევის ავზის გადავსების ორმაგი საკონტროლო სისტემა;
- 4) დაპროექტდეს და მოეწყოს დამცავი ბარიერების სისტემა, რომლებიც შეძლებენ ნატრიუმის ციანიდის ნარევის აეროზოლების გავრცელების შემცირებას მოედნის ფარგლებს გარეთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი ქარის დროს;
- 5) დამსხვრეული მადნის ტრანსპორტირება გროვული გამოტუტვის მოედანზე უზრუნველყოფილი იყოს დახურული ტრანსპორტით, რათა თავიდან იყოს აცილებული მტვრის გამოყოფა გარემოში და ტრასის პირა გზების დაბინძურება.

6.5 ატმოსფერული ჰაერის დაცვა

- 1) ჩატარდეს გაფრქვევის ყველა წყაროს სრული ინვენტარიზაცია;

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

- 2) ჩატარდეს ყველა სტაციონარული და მობილური წყაროდან წარმოქმნილი ემისიების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაანგარიშება (ბულდოზერები, ექსკავატორები, ავტოტრანსპორტი, ბურღვითი სამუშაოები, საამფეთქებლო სამუშაოები და ა.შ.);
- 3) მოხდეს ძრავების დიაგნოსტიკით გამონაბოლქვში ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობის მუდმივი რეგულაცია;
- 4) ჩატარდეს საშემდუღებლო პოსტებიდან მავნე და ტოქსიკური ნივთიერებების ემისიების გაანგარიშება;
- 5) მოწესრიგდეს პად-1, პად-2 და პად-3 ფორმების ანგარიშგების წარმოება;
- 6) „ინსტრუქცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აფეთქების სამუშაოების განხორციელების, ნაყარების განლაგებისა და სხვა სამუშაოების დროს“ შეთანხმდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან;
- 7) შემუშავდეს და ჩატარდეს რეგულარული მონიტორინგის სამოქმედო რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის ციან-იონის შემცველობით დაბინძურებაზე;

6.6 წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა

- 1) შემუშავდეს რეგულარული კონტროლის რეგლამენტი მდინარეების კაზრეთულასა და მაშავერას წყლის ხარისხის გასაკონტროლირებლად;
- 2) შემუშავდეს ცვლილებები წყლის გამოყენებაში იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ტექნიკური საკითხებისთვის სასმელი ხარისხის წყლის გამოყენება;
- 3) მოწესრიგდეს პად-4, პად-4 და პად-6 ფორმების ანგარიშგების წარმოება;
- 4) ჩატარდეს რემონტი სატუმბ სადგურსა და სადრენაჟო წყლების შემნახველ ავზს სპილენძის მადნის ნარჩენების კუდსაცავზე დაბინძურებული სადრენაჟო წყლების მდინარე კაზრეთულაში პირდაპირი ჩაშვების თავიდან ასაცილებლად;
- 5) აშენდეს სადამკვირვებლო ჭაბურღილების სისტემა („კედელი გრუნდტში ტიპის) წყლების კუდსაცავის გვერდებიდან ან ძირიდან ჯერ მიწისქვეშა სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემსდაცვითი აუდიტი

ჰორიზონტებში, შემდეგ კი მდინარე კაზრეთულაში გაჟონვის გზით მოხვედრის გასაკონტროლებლად;

- 6) მოხდეს მდინარეების კაზრეთულასა და მაშავერას დაბინძურების მუდმივი კონტროლის პოსტების ორგანიზება;
- 7) შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებები სანაყაროებიდან და გზებიდან სანიაღვრე წყლების მოხვედრის აღსაკვეთად მდინარე კაზრეთულაში.

6.7 ნარჩენების მართვა

- 1) გარემოსდაცვის დეპარტამენტმა უნდა განაგრძოს ინვენტარიზაციის ჩატარება ყველა სახის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენის განსასაზღვრავად, რომლებიც წარმოიქმნა საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგად. აუცილებელია არა მხოლოდ შემუშავება, არამედ „ნარჩენების ინვენტარიზაციაში“ დროულად კორექტივების შეტანა ნარჩენების ნორმატიულად დასაშვები და კონკრეტული მაჩვენებლების აღრიცხვის ნაწილში, ძირითადი სახის პროდუქციის წარმოების მოცულობაში, მატერიალური რესურსების ბაზაში და ა.შ.; ჩატარდეს კომპანიის ყველა სახის ნარჩენის ანგარიში ინვენტარიზაციის ანგარიშის შესაბამისად (რეესტრული რუკები, ნარჩენების პირველი ანგარიშის ჟურნალი და ა.შ.);
- 2) გარემოსდაცვის დეპარტამენტმა უნდა შეიმუშავოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა“;
- 3) აუცილებელია ნარჩენების განცალკევებულად შეგროვების, შენახვისა და განთავსების სისტემის დანერგვა მათი საფრთხის კლასის შესაბამისად და სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 4) სხვადასხვა სახის ნარჩენების შენახვის ადგილები უნდა იყოს აღჭურვილი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად და მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 5) კომპანიის სპეციალისტ-ეკოლოგებისთვის აუცილებელია რეგულარულად კვალიფიკაციის ღონის ამღებება ნარჩენების მართვის საკითხში (ტრენინგები, კურსები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ.) და თავის

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი

მხრივ, ადგილზე პასუხისმგებელი პერსონალის რეგულარული სწავლებისა და ინფორმირების ჩატარება. ამ მიზნებისთვის აუცილებელია კომპანიის ყველა სპეციალისტ-ეკოლოგის კვალიფიკაციის დონის ამაღლების გეგმა-გრაფიკის შემუშავება.

6.8 ნიადაგების რაციონალური გამოყენება და დაცვა

- 1) შემუშავდეს რეგლამენტი და რეგულარულად ჩატარდეს მიწის დაბინძურების კონტროლი მძიმე მეტალებით საწარმოს ზემოქმედების ზონაში, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე;
- 2) ჩატარდეს სამუშაოები რეგიონის ნიადაგში მეტალების ფონური შემადგენლობის განსასაზღვრად საკონტროლო წერტილებში, სამთო-მოპოვებითი საწარმოს ზემოქმედებით დაუზიანებელ ადგილებში.

დასკვნა

სამთო-მოპოვებით საწარმოებში სს „RMG Copper-სა“ და შპს „RMG Gold-ში“ ჩატარებული გარემოსდაცვითი აუდიტის ფარგლებში, განხილული და გაანალიზებულია საწარმოების საქმიანობის რეგიონის ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემოს კომპონენტებზე უარყოფითი ზეგავლენის ყველა სახე მათი ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკის ჩათვლით.

აუდიტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონის გარემოს ბუნებრივი ძირითადი კომპონენტები (ატმოსფერული ჰაერი, ტყის მასივები, ნიადაგები, მდინარეები კაზრეთულა და მაშავერა და მათი ბიოცენოზები, მიწისქვეშა წყლები) დაზიანებულია ტექნოგენური დამაზიანებლებით და იმ დონეზეა დეგრადირებული, რომ მკვეთრად ამცირებს მათ თვითაღდგენის უნარს.

უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად და რთული სიტუაციის გასაუმჯობესებლად, კომპანიებისთვის ამ ეტაპისთვის აუცილებელია საწარმოების სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკურად ბალანსირებულად წარმართვაზე ძალისხმევის მობილიზება, რაც მთლიანობაში გამოიწვევს რეგიონის მდგრად განვითარებას.

აუდიტის განმავლობაში გამოვლენილი საწარმოების გარემოსდაცვითი საქმიანობის არასაკმარისი დონე გამოწვეულია გარემოდაცვითი მართვის თანამედროვე სისტემის არარსებობით.

რეკომენდირებულია, კომპანიების სს „RMG Copper“-ისა და შპს „RMG Gold“-ის საქმიანობის ღმრა ეკოლოგიურ-ეკონომიკური ანალიზი და კომპლექსური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება საწარმოებისთვის და რეგიონის გარემოს კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამოყვანისთვის.

ასეთი პროგრამა უნდა იყოს შეთანხმებული ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ შესაბამის ორგანოებთან და გახდეს საქართველოს აღნიშნული რეგიონის ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი ნაწილი.

სს "RMG Copper"-ის და შპს "RMG Gold"-ის გარემოსდაცვითი აუდიტი